

საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 09.01.2006, მუხ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) გარე ვაჭრობის რეგულირება, მათ შორის, ბეჭდვითი პროდუქციით (გაზეთი, ჟურნალი, წიგნი) გარე ვაჭრობის რეგულირება – მხოლოდ „ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“.

2. 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა, მათ შორის, ბეჭდვითი პროდუქციით (გაზეთი, ჟურნალი, წიგნი) გარე ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების დადგენა – მხოლოდ „ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი